ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՐԱՆԻ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐԸ ԵՎ ՀՐԱՄԱՆՆԵՐԸ

ՊՐԱՎԴԱ

ՀԱՄԱՄԻՈՒԹԵԱՆ ԺՈՂՈՎՐԴԻ ԱՐՏԱԿԱՐԳՈՒԹՅԱՄԲ

Հրատարակվում է Հայկական ՍՍՀ Գերագույն Սովետի Նախագահության և Հայկական ՍՍՀ Նախարարների Սովետի օրգանը

ՕՐԳԱՆ ԼԵՆԻՆԱԿԱՆԻ ԿՈՄԻՏԵՏՈՒ ԿՈՄԿՈՒՆԻՍՏԱԿԱՆ ԿԱՈՒՍԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿՈՄՈՒՆԻՍՏԱԿԱՆ ԿՈՒՍԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ՍՈՎԵՏԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅՈՒ

ა. ა. ჟდანოვმა მიიღო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ გამგეობის წევრები

ჰელსინკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). 11 დეკემბერს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ა. ჟდანოვმა მიიღო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ გამგეობა. მიღებას დაესწრნენ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი პაასიკივი, საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ფინანსთა მინისტრი ჰელო და სხვები.

მათ გააცნეს ა. ა. ჟდანოვს საზოგადოების მუშაობა და უახლოესი ამოცანები. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრმა პაასიკივიმ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა და ხაზი გაუსვა ამ შეხვედრის დიდ მნიშვნელობას. სექციების თავმჯდომარეებმა გააცნეს თავიანთი სექციების მუშაობის გეგმები.

ა. ა. ჟდანოვმა მადლობა გადაუხადა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ გამგეობის წევრებს იმისათვის, რომ გააცნეს საზოგადოების მუშაობა და მისი სექციების გეგმები. მან აღნიშნა, რომ მოკლე ხანში საზოგადოებამ გააჩაღა მრავალმხრივი და ფართო მუშაობა. საზოგადოება ფინეთის გავლენიანი საზოგადოებრივი და კულტურული ძალა ხდება და თავისი პროგრამის გარშემო აერთიანებს პროგრესულ ელემენტებს ფინელი ხალხის სხვადასხვა ფენებიდან. საზოგადოებამ არ განსაზღვრა თავისი ამოცანები მხოლოდ კულტურული პრობლემებით, არამედ თასახა ფინელი ხალხის საბჭოთა კავშირთან, მის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებასთან ყოველსახრივად გაცნობის პროგრამა.

შემდეგ ა. ა. ჟდანოვმა აღნიშნა, რომ ომიდან ფინეთის გამოსვლისა და დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების შედეგად ფინეთში გაჩაღდა შემარიტად ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროცესი საბჭოთა კავშირთან მეგობრული და გულითადი ურთიერთობის დამყარების ამოცანის გარშემო პროგრესულ-დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციისა. ეს მოწინავე იდეები და აზალი ძალები, რომელთა შორისაც საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის, გზას იკაფავენ რეაქციის დრომოჭმულ ძალებთან ბრძოლაში, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდნენ. ფინეთის პოლიტიკას წარმართავდნენ საბჭოთა კავშირისადმი მტრული სულისკვეთებით და ფინეთი სისხლისმღვრელ ომში ჩაითრიეს.

სსრ კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის თავის უცვლელ პოლიტიკას, დიდი სიმპატიითა და ყურადღებით ადევნებს თვალყურს საზოგადოების მუშაობას და დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირთან თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ფინეთის მეგობრობის იდეები შეეფერებიან ფინელი ხალხის ძირითად ინტერესებს.

დასასრულ ა. ა. ჟდანოვმა საზოგადოებას უსურვა შემდგომი წარმატებანი მის მუშაობაში.

სსრ კავშირის მინსახკომში

სსრ კავშირის მინსახკომმა განიხილა შედეგები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა მოსავლის აღების, საანეულო ხვნის, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმების შესრულებისათვის, შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნო და გადასწყვიტა გადასცეს სსრ კავშირის მინსახკომის გარდამავალი წითელი დროშები და მისცეს ფულადი პრემიები შემდეგს მტს-ებს:

მოსკოვის ოლქის 1-ლი მიზნევის მტს-ს (დირექტორი ამხ. გოლჩანინი);

მოსკოვის ოლქის კაშირის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბორდაჩევი);

მოსკოვის ოლქის კომსომოლსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ლავრენტიევი);

გორკის ოლქის კამენსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. მოკროპოლოვი);

გორკის ოლქის ბოგოროდსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. პონომარევი);

ივანოვოს ოლქის ვიჩუგის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბელოუსოვი);

კალინინის ოლქის 1-ლი კრასნოხოლმსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ათონინი);

კალინინის ოლქის კრასნოარმეისკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ზახაროვი);

რიაზანის ოლქის მიურავლიანის მტს-ს (დირექტორი ამხ. სოლომატინი);

რიაზანის ოლქის რიბნოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ევტეევი);

იაროსლავლის ოლქის ნეკოუზსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. კაშინი);

სმოლენსკის ოლქის რუდნიანსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბელოზოსტოვი);

კალუგის ოლქის პესოჩის მტს-ს (დირექტორი ამხ. ლატუშკინი);

უკრაინის სსრ სტალინოს ოლქის ბოგოიავლენსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტრეტიაკოვი);

უკრაინის სსრ სტალინოს ოლქის სელიდოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. აკიმიჩევი);

უკრაინის სსრ სტალინოს ოლქის სტარობეშევსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტიმოდანოვი);

უკრაინის სსრ კიევის ოლქის შპოლიანსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ფედოროვი);

უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის ლოხვიცკის მტს-ს (დირექტორი ამხ. პოშტენკო).

უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის შაროვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. მარინინი);

უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის კოტოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. სკაჩეცკი);

უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ტროიცკის მტს-ს (დირექტორი ამხ. შკურატი);

უკრაინის სსრ სუმის ოლქის ლებედინსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ონოპკო);

უკრაინის სსრ ოდესის ოლქის „პრავდის“ სახელობის მტს-ს (დირექტორი ამხ. ნიკოლადი);

ყირიმის ასსრ სტალინშტადტის მტს-ს (დირექტორი ამხ. იახნევი);

როსტოვის ოლქის სანდატოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ლეონტიევი);

როსტოვის ოლქის ტარასო-მელოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვინოკუროვი);

კრასნოდარის მხარის არმავირის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვოლობუევი);

სტავროპოლის მხარის პსიქსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. მაშკინი);

საქართველოს სსრ ასურეთის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვანიცევი);

აზერბაიჯანის სსრ ხაჩმასის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტასოევი);

აზერბაიჯანის სსრ ტერტერის მტს-ს (დირექტორი ამხ. ყულიევი);

სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის მტს-ს (დირექტორი ამხ. სუკიასიანი);

სომხეთის სსრ ღარიბჯანიანის მტს-ს (დირექტორი ამხ. ავეტისიანი);

თურქმენეთის სსრ მარის ოლქის მარის მტს-ს (დირექტორი ამხ. ხალმამედოვი);

უზბეკეთის სსრ ნამანგანის ოლქის ნამანგანის მტს-ს (დირექტორი ამხ. მიხაილიანცი);

უზბეკეთის სსრ ყარა-ყალპაქეთის ასსრ კუნიშევსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ხალიულინი);

მოლოტოვის ოლქის პერმის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბურილოვი);

ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის უდარინის მტს-ს (დირექტორი ამხ. პუკასი);

ყაზახეთის სსრ აკმოლინსკის ოლქის მტს-ს „ავანგარდის“ (დირექტორი ამხ. კონიახინი);

სარატოვის ოლქის ნადეჟდინსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. გოლოხვასტოვი);

სარატოვის ოლქის მარქსის მტს-ს (დირექტორი ამხ. პატრინი);

სტალინგრადის ოლქის დემინსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. გვოზდკოვი);

პენზის ოლქის იაკლეისკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ფილიმონოვი);

პრიმორსკის მხარის ბუდიონოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. სმირნოვი);

იაკუტიის ასსრ ნამსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. სუზდალოვი);

ლენინგრადის ოლქის კინგისეპის მტს-ს (დირექტორი ამხ. კარპა);

ლენინგრადის ოლქის ტიხვინის მტს-ს (დირექტორი ამხ. კუშნარენკო);

არხანგელსკის ოლქის შენკურსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. შესტაკოვი);

კიროვის ოლქის ვიატსკო-პოლიანსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. კორტენევსკი);

კიროვის ოლქის კლიუჩევსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტატარინოვი).

გაზსადენი სარატოვი — მოსკოვი

სარატოვის ოლქში წიაღის გეოლოგიური გამოკვლევით აღმოჩენილია გაზის უდიდესი მარაგი. ბუნებრივი გაზი ყველაზე იაფი საწვავია, იგი გამოყენებული ქონდა მოსკოვისა და სხვა ქალაქების საჭიროებისათვის.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1945 წელს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობის შესახებ. მიუხედავად დიდი ხარჯებისა, რაც გაზსადენისა და მთელ რიგ დამხმარე საწარმოთა მშენებლობას დასჭირდება, მოსკოვში 800 კილომეტრი მანძილიდან მიწოდებული გაზი ორჯერ უფრო იაფი იქნება მოსკოვის ბასეინის ქვანახშირზე, ერთნახევარჯერ იაფი ნავთზე და ორჯერ უფრო მეტად იაფი შეშაზე.

სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის გეგმით დედაქალაქის მომარაგება გაზით ხუთჯერ გაიზრდება. გაზს დამატებით მიიღებენ ათიათასობით ბიწებ, ბევრი სახლი გადაყვანილი იქნება გაზით გათბობაზე, გაზს მიიღებენ აგრეთვე ტუბის ქარხნები, საავადმყოფოები, აბანოები, სამრეცხაოები, სამეცნიერო ინსტიტუტები და სასწავლებლები. გაიზრდება სამრეწველო საწარმოთა და ელსადგურების მომარაგება გაზით.

გაზსადენისა და გაზის შიდაქალაქო ქსელის მშენებლობასთან დაკავშირებით მოსკოლდნელია დიდი მუშაობა. ამავე დროს იწარმოებს საცხოვრებელი სახლების, აბანოების, სამრეცხაოების, საკვირველო დაწესებულებების და სხვათა ღუმელებისა და საქვაბეების გადაკეთება. მოსკოვში იქმნება სპეციალური სამშენებლო ორგანიზაცია.

გაზსადენის მშენებლობით საფუძველი ეყრება ჩვენს ქვეყანაში გაზის მდიდარი მრეწველობის შექმნას. (საკდესი).

3. ვ. ჩკალოვის ხსოვნის საღამო

14 დეკემბერს მფრინავ ოფიცერთა ცენტრალურ სახლში შესდგა ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მიუი გარდაცვალების 6 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც დღეს სრულდება.

დარბაზში შეიკრიბნენ მფრინავები, რომლებმაც თვი ისახელეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მოხსენება ჩკალოვის ცხოვრებასა და საგმირო საქმეებზე გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ვ. ლებედენკომ. თავიანთი მოგონებანი დაბეჭდრეთ გაუზიარეს გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ივანტიევმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ვ. მიხოელსმა, ჟურნალისტებმა და სხვებმა.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა. (საკდესი).

3. ვ. ჩკალოვის ხსოვნის საღამო

14 დეკემბერს მფრინავ ოფიცერთა ცენტრალურ სახლში შესდგა ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვ. პ. ჩკალოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მიუი გარდაცვალების 6 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც დღეს სრულდება.

დარბაზში შეიკრიბნენ მფრინავები, რომლებმაც თვი ისახელეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, მოხსენება ჩკალოვის ცხოვრებასა და საგმირო საქმეებზე გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა ა. ვ. ლებედენკომ. თავიანთი მოგონებანი დაბეჭდრეთ გაუზიარეს გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ივანტიევმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ვ. მიხოელსმა, ჟურნალისტებმა და სხვებმა.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა. (საკდესი).

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

გერმანიაში მოკავშირეთა ჯარებმა, რომელნიც მდინარე რურისაკენ მიიწევენ იულიხ-დიურენის სექტორში, დაიკავეს პირი, მარკენი და ჰოფენი. მოკავშირეები შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებიან მარიავაილერში. გრძელდება ბრძოლები დერიხვაილერის ჭუჩებში. ცოტა უფრო სამხრეთით ბრძოლები მიმდინარეობს გეშე.

მოკავშირეთა ნაწილები, რომლებმაც მდინარე საარი გადალახეს, გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან ფრაუელაუტერნში (საარლაუტერნის აღმოსავლეთი გარეუბანი). ომის მოლზე საარგემიუნდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე ბლისი (რომელზეც ამ რაიონში გადის საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი) და შეიჭრნენ გაბკირხენში. ჰაგენაუს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ნაწილებმა მტრის არიერგარდების წინააღმდეგობა დაძლიეს და 8 მილით წაიწიეს წინ რაინის ველზე. ისინი შეიჭრნენ მაინის ხაზის თავდაცვით ნაგებობათა ზონაში და მიაღწიეს ზელკს, ამასთან არ შეხვედრიან რამდენადმე მტკიცე წინააღმდეგობას. რამდენიმე პუნქტში მოკავშირეთა ნაწილები 5 მილზე იმყოფებიან საფრანგეთ-გერმანიის საზღვრიდან.

12 დეკემბერს ღამით მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა ესენს. მსუბუქმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ოსნაბრიუკზე.

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, ქალაქ რავენის სამხრეთ-დასავლეთით, მე-8 არმიის კანადელთა ნაწილებმა, მტრის ძლერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ორი ხიდწინა სიმაგრე შეაჭრნეს მდინარე ლამონზე. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოკავშირეთა ჯარები, რომელებსაც ეს ორი ხიდწინა სიმაგრე ეკავათ, შეერთდნენ. მე-5 არმიის ინგლისელთა ნაწილებმა მოიგერიეს მაწინააღმდეგის გაფთრებული იერიში მონტე კარერეს მაღლობზე. მოწინააღმდეგის ნაწილები, რომლებიც დროებით შემოიჭრნენ მოკავშირეთა მოწინავე პოზიციებში, უკუგდებულ იქნენ. ფრონტის დანარჩენ უბნებზე აქტიურად ოჭმედებდნენ მოწინააღმდეგის პატრულები.

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა იულიხ-დიურენის სექტორში და გასწმინდეს შოპჰოვენი, აღნიშნულია აგრეთვე წინსვლა მოწმაუს რაიონში, რუტგენის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს როლსბახიხი და ზიმერატი.

მდინარე საარის ხეობაში მოკავშირეთა ჯარები შოწინააღმდეგის გაფთრებულ სარტილერიო ცეცხლს წააწყდნენ ხიდწინა სიმაგრის რაიონში დილინგენთან.

გაბკირხენსა და ბლისბრიუკენს შუა მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე ბლისი, გრძელდება ბრძოლები გაბკირხენის ტეჩენში. მეცში მოკავშირეებმა დაიკავეს ეკანაკნელი ფორტი, რომელიც კიდევ გერმანელთა ხელში იყო.

ჩრდილოეთ ელზასში, ქვემო ვოგეზის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაწიეს სამი მილით. ბიტშის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა გაარღვიეს მაჟინოს ხაზი. მოკავშირეთა ნაწილებმა, რომლებიც ჰაგენაუს ჩრდილოეთით ტტევენ, დაიკავეს ზუტცის ტყე და რამდენიმე ახლომდებარე სოფელი.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი ინტენსიური თავდასხმები მოახდინა ტრის სამხედრო ობიექტებზე ჰოლანდიასა და დასავლეთ გერმანიაში.

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტზე იტალიაში მე-8 არმიის კანადელთა ნაწილებმა მთელი დღის მძიმე ბრძოლებით შემდეგ მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი ხიდწინა სიმაგრე მდინარე ლამონზე და მოიგერიეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი ძლიერი კონტრიერიშები. ხიდწინა სიმაგრის მარჯვენა ფლანგზე დაკავებულია დასახლებული პუნქტი მეცანო, იმავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მე-5 არმიის ინგლისელთა ნაწილები შეიჭრნენ ორ სოფელში, სადაც ბრძოლები სწარმოებს მტერთან, რომელიც შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის ობიექტებს მდინარე პოს ხეობაში და ბრენერის უღელტეხილზე, აგრეთვე ეხმარებოდა სახმელეთო ნაწილებს მოქმედებას მე-5 არმიის ფრონტზე.

ჩერჩილის პასუხები საბერძნეთის შესახებ მიცემულ კითხვებზე

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, 14 დეკემბერს თემთა პალატაში საბერძნეთის შესახებ კამათის დროს, რაც კვლავ დაიწყო ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე ამ საკითხის განხილვის შემდეგ, ლეიბორისტმა დავიდ კირკუუდმა პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს აცნობა, რომ მან, კირკუუდმა, 14 დეკემბრის დილით მრავალი დკაბეა მიიღო მრწანაკომშენებელი მუშებისაგან ინგლისის ყველა კუთხიდან, რომლებიც საპროტესტო გაფიცვით იმუქრებიან იმ როლის წინააღმდეგ, რომელსაც ინგლისის მთავრობა ამჟამად საბერძნეთში ასრულებს.

ამის წინ თემთა პალატის წევრმა სეიმურ ჯოქსმა პრემიერ-მინისტრს ჰკითხა, კიდევ რამდენ ხანს აპირებს მთავრობა საბერძნეთში თავისი პოლიტიკის გატარებასო.

ჩერჩილმა თავის პასუხში განაცხადა, რომ მას ამჟამად არაფერი არ აქვს დასამატებელი იმისათვის, რაც უკვე ნათქვამი იყო მთავრობის სახელით გამოსული ორატორების მიერ, მაგრამ შემთხვევის დროს იგი ინგლისს ახალი ცნობით მიმართავს.

ჩერჩილმა აგრეთვე აცნობა თემთა პალატას, რომ, რამდენადაც მან შეძლო გამოერკვია, საერთო ზარალი, რაც ინგლისის ფლოტს, ინგლისის ავიაციას და საიმპერიო ჯარებს საბერძნეთში მოუვიდათ წელს გადასხდომის მომენტიდან ნოემბრის ბოლომდე, 3000-ზე მეტ კაცს არ შეადგენს. ეს ციფრი, ხაზგასმა მან, შეიცავს მოულელებს, დაჭრილებს, უკვალოდ დაკარგულებსა და ტყვეებს. არის აგრეთვე ცნობები, რომ ინგლისის ჯარიბამ ამის შემდეგ კიდევ 160 კაცი დაკარგეს.

მდგომარეობა საბერძნეთში

პორფიროგენისმა მოისმინა გენერალ სკობის პირობები და დასტოვა შტაბი, რათა აცნობოს ეს პირობები ელასის ხელმძღვანელებს.

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო ათენიდან იუწყება, დღეს ელასის ნაწილებმა უფრო დიდი ძალები მოიტანეს და კვლავ დაუშინეს იმ რაიონს, სადაც ინგლისელთა შტაბია. ყუმბარები ცვიოდა ყოველ ხუთ წუთში. 11 დეკემბრის ღამით ქალაქის დასაღეთი გარეუბნების მიმართულებით შემჩნეული იყო ელასის რაზმების გადაადგილება, რომლებიც რამდენიმე ასული კაცისაგან შესდგებოდნენ. მათ სროლა აუტეხა ინგლისის ავიაციამ.

გამოცხადდა, რომ ათენში ინგლისის მინისტრ-რეზიდენტ მაკმილანის თანხლებით ჩასულ ფელდმარშალ ალექსანდერის დარბაზობის მიზანია „კონსულტაცია გენერალ სკობისთან საჭირო ღონისძიებათა შესახებ“. ალექსანდერი, რომელიც თვითმფრინავით ჩაფრინდა, ათენს გაემგზავრა ჯავშანმანქანით, რომელსაც იცავდა „შერმანის“ მარკის ტანკი. ალექსანდერი ათენიდან გაემგზავრა 12 დეკემბერს დილით; საბერძნეთში იგი ოც საათზე ნაკლებ ხანს იყო.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტო გადმოგვცემს, რომ ეამის („ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტი“) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეამმა უარყო ინგლისის პირობები.

ლონდონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიომ დღეს დილით გადასცა, გენერალ სკობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ღამემ ათენში წყნარად განვლო და ამასობაში ატიფარი მოძმდარა, ბრიტანეთის ჯარებმა რამდენადმე წარიწიეს წინ პირეში, მაგრამ თვით ათენში და საერთოდ საბერძნეთში მდგომარეობა უცვლელია.

სამხედრო მეთვალყურენი ამტკიცებენ, რომ ელასის რაზმები გადააჯგუფებას ახდენენ ახალი ოპერაციებისათვის. სამოქალაქო მოსახლეობას ნება აქვს დართული ქუჩებში გამოვიდეს მხოლოდ 12-დან ნაუადღეების 2 საათამდე.

დღეს საღამოს ლონდონის რადიომ გადასცა, რომ ათენში დღისით შემჩნეული წყნარი დამთავრდა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში კვლავ სცდებიან ყუმბარები, იმის ტყვიამფრქვევის სროლა და სატანკო ბრძოლის გუგუნი. პირეის რაიონში აგრეთვე სწარმოებს ბრძოლები.

ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ვიჩენს

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს, 12 დეკემბერს ნაშუადღევს ინგლისელთა „ლანკასტერის“ მარკის თვითმფრინავები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ რურის ოლქის საჰრეწველო და სარკინიგზო ცენტრ ვიტენს.

სიკვდილით დასჯა გერმანიაში

ლონდონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ავის საააგენტო გერმანიის სახღვრიდან იუწყება, რომ გერმანიაში გრძელდება სასვდილით დასჯა, მიუხედავად წინათ გავრცელებული ცნობებისა, ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ლაიფციგის ყოფილი ბურგომისტრი გერდელერი არ ჩამოუხრჩვიათ, მას ამჟამად უკეთებენ „შეშაპენებას“, რის შედეგადაც სუსტდება მისი ნებისყოფა, როგორც სჩანს, გესტაპოელებმა ამ საშუალებით აიძულეს გერდელერი ჩვენება მიეცა, რის გამო დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე თეეული მრეწველი და დიდი საწარმოს დირექტორი. ეს ადამიანები პირში წაუყენეს გერდელერს.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი პოპიცი ჩამოხრჩობილია. გერმანელ ადვოკატ დოქტორ ლანგბერეს, რომელიც დაზვერვაში მსახურობდა და ჰიმლერის მახლობელი მეგობარი და იურიდიული მრჩეველი იყო, იგივე ბედი ეწია, ვინაიდან მან ბევრი რამ იცოდა ჰიტლერულ მეთაურთა შესახებ.

ჰიმლერმა ჩამოახრჩო 200 სზვა პირი, მათ შორის ადვოკატები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროფესორები, ჰიმლერის მთავარი თანამშემწეები—კალტენბრუნერი და ობერგრუპენფიურერები შელენბერგი და მელე, მათი უფროსივით სისხლმწყურვალენი, ხელმძღვანელობენ ეგრეთწოდებულ „უშიშროების სამსახურს“, რომლის შტაბიც ბერლინის სამხრეთ ნაწილში იმყოფება.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მიკრობიოლოგიური კაბინეტის გამგე ანტონინა ბუიდლიშვილი (მარჯვნივ) და უფროსი მიკრობიოლოგი რუსუდან დოლობერიძე ამოწმებენ ქარხნის პროდუქციას.

ფოტო რ. ჯოფუასი

ალექსანდრე აბაშელის საღამო

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში შესდგა პოეტ აღ. აბაშელის საღამო, რომელიც გაიხსნა დოცენტ მ. ჩიქოვანის შესავალი სიტყვით.

მოხსენება აღ. აბაშელის შემოქმედების შესახებ წაიკითხა დოცენტმა გ. ულენტმა. პროფესორ-პედაგოგების სახელით პოეტს მიესალმა პროფესორი ირ. ბათიაშვილი, სტუდენტთა სახელით—ან. ტუხაშვილი.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ს. ჩიქოვანი და აღ. ჭეიშვილი. აღ. აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა თ. ჩხიკვაძემ, ყუთლიაშვილმა, ნ. ჯაფელმა და ე. ქურდიანმა; აბაშელის ლექსები წაიკითხეს: ნ. აბრამიშვილმა, ქ. ნადირაშვილმა და თ. მოსიძემ.

საღამოზე აღ. აბაშელმა წაიკითხა რამდენიმე თავისი ლექსი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი სტუდენტთა თვითმოქმედი წრეების მონაწილეობით.

მოფარიკავეთა შეჯიბრება

დღეს იწყება უძლიერეს მოფარიკავეთა შეჯიბრება საქართველოს სსრ პირად პირველობაზე.

მოფარიკავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატები—ბონდარენკო, გონჯიე და ადაროვი; პირველი თანრიგის მოფარიკავენი — გაფრინდაშვილი, ვაშრეკელი, ბათმანოვი, ძოწენიძე და სხვ.

შეჯიბრება მოეწყობა ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის სასპორტო დარბაზში (საბა-სიონელის ქ. № 13) 15, 16, 17 და 18 დეკემბერს დილით (10 საათიდან) და საღამოთი (7 საათიდან).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 15/XII — „აბესალომ და ეთერი“, 16/XII — „დონ-კიხოტი“.
რუსთაველის სახელობის — 15/XII — „სატანაკინო ფიშებით“, 16/XII — „ლატაკი“.
მარჯანიშვილის სახელობის—15/XII — „ბედნიერება“, 16/XII — „ეამთაბერის ასული“.
გრიბოედოვის სახელობის — 15/XII—„უკანასკნელი მსხვერპლი“, 16/XII — „ფლოროს ოფიცერი“. **სომხური** — 15/XII — „ვარაზ-დატ“, 16/XII — „სომხის ქალი“. **ახუნდოვის სახელობის** — 15/XII — „ქალწულის კოშკი“, 16/XII — „ლეილა და მაჯნუნი“. **ბუსიკაშვილი კომედიის** — 15/XII — „ბრწყინვალე-ალაბ“, 16/XII — „როზ-მარი“. **ხანკულტურის** — 16/XII — „სეკვიანი როშანი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 15, 16/XII — „ფარაონელი ჭაბუკი“.

კინოებში

15 დეკემბერს: **რუსთაველის სახელობის**—„სიმღერა რუსეთზე“. **ოქტომბერი** — „ძველ ჩიკაგოში“, **დამკვრელი** — „სამი მუშკეტერი“ და „გამარჯვება სამხრეთში“. **კომკავშირელი** — „ანტონ ივანოვიჩ ჯაერობს“. **სპარტაკი** — „წყალქვეშა ნავი ტ-9“, **ლუკაშვილის სახელობის** — „მხიარული ბავშვობა“. **26 კომისრის სახელობის**—„არსენა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 26 დეკემბერს, დღის 1 საათზე, ფიზიკის აუდიტორიაში (მარის ქ. № 3), **იური ანდრიას-ძე სიკორსკი** დაიცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „Зависимость диэлектрических потерь от характера электропроводности диэлектриков“.

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი **ვ. ი. მამასახლისოვი**, დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების კანდიდატი **ი. დ. კორვალიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ცნობები

მეუღლე პავლე, დედა მარიამ, დები ოლია, ქენია, თინა იუწყებიან **ნადია ქართველიშვილი-თოდრიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XII, 7 ს. გამოსვენება 17/XII, 3 ს. გორკის, 25.

მიხეილ და თამარ სუკაშვილები შვილებით ეთერით და ლამარათი იუწყებიან **სოფიო კონსტანტინეს-ასულ ხუციშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16/XII, 7 ს. გამოსვენება 17/XII, 2 ს. ძნელაძის, 41.

სიდედრი მარიამ, ცოლისდები ელენე, ბარბარე შვილით ნოდარით კალაშნიკოვები იუწყებიან **კონსტანტინე ბერძენიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XII, 2 ს. ზოოტექნიკური, 16.

მეუღლე სეფე, შვილები დომენტი, გრიგოლ, ბალიკო, რძლები ნინო, ნუცა, ნინო შვილებით, სიძე ა. ტვინაძე იუწყებიან **ირაკლი მიქაუტაძის** გარდაცვალებას.

დედა შარიამი, ცოლი მანია ხვედელიძე, და ლება, რძალი ფაცია ოქუაბიან იუწყებიან, რომ 17/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დაინიშნულია **გიორგი ალექსანდრეს-ძე ვაშაკიძის** პანაშვიდი.

ბაქრო, ჟენია და მარო ჯამასპიშვილები იუწყებიან **ნადია ქართველიშვილი-თოდრიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ გობეჩია, კატო, პაოლინა სიორიძეები, ძიშა, ია, ანიკო ცაგარელები იუწყებიან **კონსტანტინე სიორიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16/XII, 7 ს. გამოსვენება 17/XII, 2 ს. ძნელაძის, 41.

მეუღლე გიორგი, შვილები თამარ, ბიძინა ნიშნიანიძეები, სიძე შალვა, შვილიშვილები გივი, ოთარ სამხარაძეები იუწყებიან **შუშანა ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XII, 7 ს. გამოსვენება 17/XII, 3 ს. კვალის, 17.

დედა ასმათი, და თინა, ძმები შალვა, ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან **სამსონ სტეფანეს-ძე ტაბაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16/XII, 6 ს. გამოსვენება 17/XII, 1 ს. ძერჟინსკის, 25.

დედა კესო, მეუღლე მაშო, შვილები დავით,